ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებული სხდომა

ო ქ მ ი#1

25 ნოემბერი 2021წელი

12.00 სთ

სხდომას თავმჯდომარეობდა: გურამი კიკნაველიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებულ სხდომას ესწრებოდნენ კომისიის თავმჯდომარეები და წევრები:

გრიგოლ ტაბეშაძე
მაია კბილაშვილი
გურამი კიკნაველიძე
გურამ ჩხეიძე
გრიგოლ ტაბეშაძე
გია სახამბერიძე
შადიმან გორგოძე
დიომიდე კიკნაველიძე
ზაზა ზივზივაძე
სიმონ ჭოლოკავა
ფრიდონ მაჩიტაძე
მურად ბურჯანაძე
თორნიკე გაჩეჩილაძე
თემურ მინაძე
გვანცა გრძელიძე
ირინა ტყეშელაშვილი
ალექსი ლომინაშვილი

ა.ა.ი.პ - ების ხელმძღვანებლები და წარმომადგენლები: ნატო მაჩიტაძე, ბიძინა ჯაბიძე, ფრიდონ დოგრაშვილი, მამუკა ჭელიძე, თამილა ფაიქიძე, ამბერკი რობაქიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის ბავშვთა უფლებების დაცვის და მხარდაჭერის განყოფილების უფროსი: ლელა ფურცელაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი: ლერი გუმბერიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური - საბიუჯეტო განყოფილება - განყოფილების უფროსი: ვაჟა ჩაფიჩაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: უჩა გელხვიიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: ზაურ გაჩეჩილაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის, ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - კარლო დოგრაშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის ექსპერტ-კონსულტანტი - რამაზ მეფარიშვილი

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი: გიორგი ნერგაძე

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძე

სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვა

მომხს.ლერი გუმბერიძე-

მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი

თანამომხსენებლები: საკრებულოს

მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარეები და მოადგილეები

სხდომაზე დამსწრე კომისიის ყველა წევრი თანახმაა განიხილონ დღის წესრიგის მიხედვით წარმოდგენილი საკითხი

მ ო ი ს მ ი ნ ე ს: საკითხი1. სხდომის თავმჯდომარემ გურამი კიკნაველიძემ წარმოადგინა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ, აღნიშნულ საკითხზე მოხსენება გააკეთა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა: ლერი გუმბერიძემ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ განაცხადა, იგეგმება სახელფასე ფონდის ზრდა, რა მარეგულირებელი ნორმებია და საპროგნოზო მაჩვენებლები როგორია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი: კახა გოგნაძემ უპასუხა გურამი კიკნაველიძეს, რომ საპროგნოზო მაჩვენებელი თუ ჩაიდება ეს უკეთესი იქნება ჩვენ ამას გავითვალისწინებთ

საკრებულოს წევრი: თორნიკე გაჩეჩილაძემ კითხვით მიმართა ამბერკი რობაქიძეს, რომ დაგეგმილი რაც არის თქვენ ხართ ა.(ა)ი.პ. - ის ხელმძღვანელი და რა დამატებითი მოთხოვნები გაქვთ

ა.ა.ი.პ „ბაღდათის კეთილმოწყობის დასუფთავებისა და მუნიციპალური სერვისების გაერთიანების“ დირექტორი: ამბერკი რობაქიძემ უპასუხა თორნიკე გაჩეჩილაძეს, რომ დამატებითი თანხების საჭიროება ძირითადად განპირობებულია საწვავის ფასების ზრდასთან დაკავშირებით

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის წარმომადგენელი: ზაურ გაჩეჩილაძემ განაცახდა, რომ კვების თანხები მომატებულია და შესაბამისად უფასო სასადილოების თანხები იგივეა და რა თქმა უნდა ეს საკითხი გადასახედია

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს კულტურის, განათლების, სპორტის, ჯანმრთელობის დაცვის, სოციალურ საკითხთა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: ირინა ტყეშელაშვილმა განაცხადა, რომ ობოლ ბავშვებზე დახმარების თანხები მცირეა და იქნებ როგორმე რაღაც მიზერულად მაინც გავზარდოთ

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკური პოლიტიკის ინფრასტრუქტურისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: სიმონ ჭოლოკავამ კითხვით მიმართა ლერი გუმბერიძეს დანამატის გაცემა რა ნიშნით მოხდება

ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის, პირველადი სტრუქტურული ერთეულის სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის სამსახურის უფროსი: მარეხი მშვენიერაძემ უპასუხა ირინა ტყეშელაშვილს და განაცხადა, რომ აღნიშნული საკითხს, ობოლ ბავშვებზე დახმარების თანხების ზრდა მოვინიშნავ და თუ რაიმე შესაძლებლობა იქნება დაემატება თანხები

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებული სხდომის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძემ კენჭისყრაზე დასვა საკითხი: ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტის განხილვის შესახებ მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ერთობლივი გადაწყვეტილებით პროექტი კორექტირების მიზნით დაუბრუნდეს მერიას შენიშვნების გასათვალისწინებლად, რაც ერთობილივი კომისიის თანხმობის შემთხვევაში წარმოდგენილი შენიშვნებით მიეთითება კომისიის გადაწყვეტილებაში

კომისიამ გადაწყვიტა:

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედ კომისიებთან ერთობლივად გაერთიანებულ სხდომაზე განიხილა ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის 2021 წლის 15 ნოემბრის 66-662131552 მომართვით გადმოგზავნილი ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტი.

პროექტში გათვალისწინებული არ არის ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში შეტანილი ბოლოდროინდელი ცვლილებები წარმომადგენლობითი

ორგანოების სტრუქტურის თაობაზე და შესაბამისად დასაზუსტებელია შრომის ანაზღაურების ფონდი.

პროექტით გათვალისწინებულია შრომის ანაზღაურების ფონდი 2076,0 ათ ლარით. მარეგულირებელი ნორმებიდან გამომდინარე წარმოსადგენია ფულადი ჯილდოს, დანამატის და სხვა ანაზღაურების გაცემის რეგულირებები.

ანაზღაურების მოწესრიგების მიზნით დასადგენია მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სკოლამდელი აღზრდისა და კულტსაგანმანათლებლო დაწესებულებებში სასწავლო პროცესის ტარიფები, საათობრივი განაკვეთის მოცულობა, საათების რაოდენობა და ანაზღაურება.

გასაზრდელია სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული 18 წლამდე ასაკის ობოლ ბავშვიანი ოჯახების დახმარება.

მოსაწესრიგებელია ა(ა)იპ-ზე გადასაცემის სუბსიდიების მოცულობა

არაფინანსური აქტივების კლებით მისაღები შემოსავლების 300,5 ათ ლარის დასაბუთების მიზნით წარმოსადგენია საპრივატიზებო ობიექტების ჩამონათვალი.

დასაზუსტებელია და წარმოსადგენია საქონელი და მომსახურებით გათვალისწინებული ხარჯების პროექტი.

დაუსაბუთებელია 2022 წლის ბიუჯეტის პროექტით თავისუფალი ნაშთი 300,0 ათ ლარი.

მუნიციპალიტეტის საკრებულოს მუდმივმოქმედი კომისიების ერთობლივი გადაწყვეტილებით პროექტი კორექტირების მიზნით დაუბრუნდეს მერიას ზემო ხსენებული შენიშვნების გასათვალისწინებლად.

ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

მუდმივმოქმედი კომისიების გაერთიანებული

სხდომის თავმჯდომარე: გურამი კიკნაველიძე